



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 ტ: (+995 32) 2 244 040 ფ: (+995 32) 2 244 041 ე: public@gogc.ge www.gogc.ge
 A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway T: (+995 32) 2 244 040 F: (+995 32) 2 244 041 M: public@gogc.ge www.gogc.ge

№ 6189

„24“ სექტემბერი 2025წ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
 უფროსს ქალბატონ ელენე ლუბიანურს

ქალბატონო ელენე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ საქართველოს მთავრობასთან, 2023 წლის 9 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ფარავანი 1 და ფარავანი 2 ჰესების ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას შემდგომში მშენებლობისა და ოპერირების მიზნით.

შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგინთ ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მდ. ფარავანზე დაგეგმილი 4.6 მგვტ დაგეგმილი სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესი“-ს და 35 კვ ძაბვის საჰაერო (საკაბელო მონაკვეთებით) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზმ-ს ანგარიშს.

„ფარავანი 2 ჰესი“-ს და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 16 ივნისს N313/ს ბრძანებით, გაცემულია N40 სკოპინგის დასკვნა. გზმ-ს ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის და N40სკოპინგის დასკვნის პირობების გათვალისწინებით.

წერილს თან ერთვის:

- „ფარავანი 2 ჰესის“-ს და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზმ-ს ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- გზმ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- ჰესის ნაგებობების განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა -ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს რეგისტრაციის თაობაზე;



- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრების ასლები;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები shp ფაილების სახით CD დისკზე.

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
გენერალური დირექტორი
ეკატერინე სისაური

